



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სესია

ბისკაიო იუსტიციის წინააღმდეგ

(მართლიანი N 77419/16)

სამართლებრივი შექამება

**პრაოფიციალური თარიღი**

**მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და  
პრესიტიური სამსახურის მიერ.**

სტრასბური

21 სეպტემბერი, 2021 წელი





## კონვენციის მე-10 მუხლი

### მუხლი 10-1

#### გამოხატვის თავისუფლება

საქმე შეეხება რედაქტორის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების მართლზომიერებას, რომელიც უარს აცხადებდა ორი ფიზიკური პირის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის ონლაინ გამოცემიდან ამოღებაზე. გამოქვეყნებული სტატია შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომი იყო ზემოაღნიშნული ფიზიკური პირების გვარის ინტერნეტის საძიებო სისტემაში შეყვანის გზით.

#### დარღვევა არ დადგინდა

#### ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელმა, რომელიც არის ონლაინ გაზეთის მთავარი რედაქტორი, გამოქვეყნა სტატია რესტორანში მომხდარი ჩხუბის შესახებ, რომელიც დასრულდა ცივი იარაღის გამოყენებით ადამიანის დაჭრით. სტატია აგრეთვე მიმოიხილავდა ჩადენილ ქმედებაზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის დეტალებს. სისხლის სამართლის საქმეზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა და რესტორანმა ოფიციალური წერილით მოითხოვეს, რომ ონლაინ სტატია წამლილიყო გამოცემის ვებგვერდიდან, რაზეც, თავდაპირველად, რედაქტორმა უარი განაცხადა, თუმცა საბოლოოდ, 9 თვის შემდეგ, ეროვნულ სასამართლოში მიმდინარე დავის მორიგებით დასრულების მიზნით წაშალა ვებგვერდიდან. ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, რესტორნისა და ერთ-ერთი ბრალდებულის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და განმცხადებელს განესაზღვრა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ საფუძვლით, რომ სტატიის წაშალა ვებგვერდიდან დაგვიანებული იყო, რამაც შესაძლებელი გახადა მოსარჩელეების პიროვნებისა და სახელების იდენტიფიცირება. განმცხადებელს პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა 5,000 ევროს გადახდა თითოეული მოსარჩელისთვის, ვინაიდან განმცხადებლის ქმედებით ზიანი მიადგა მოსარჩელეების რეპუტაციას.

#### გამოსაყენებელი სამართლი - კონვენციის მე-10 მუხლი

(ა) წინარე შენიშვნები - წინამდებარე საქმე მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლზე ადრე გაკეთებული განმარტებებისგან, რომლებიც ინტერნეტ-გამოცემის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსსა და (*Delfi AS v. Estonia [GC]*) გამოქვეყნების ფორმებს შეეხება, მათ შორის,



ანონიმურობის და გამოცემის კვალიფიციურობის საკითხებში (*M.L. and W.W. v. Germany*) წინამდებარე საქმეში დასმულ მთავარ საკითხს წარმოადგენდა არა იმდენად ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება, არამედ ვებგვერდზე სტატიის განთავსების ხანგრძლივობა და მისი შინაარსი. განსახილველი საქმის საკვანძო დეტალს წარმოადგენს მოსარჩევე მხარეების მიმართვის მიუხედავად, გადაჭარბებულად დიდი ხნის განმავლობაში სტატიის ვებგვერდზე დატოვება, რომელში დასმული თეგების საშუალებით ინტერნეტის საძიებო ბაზა ავტომატურად უკავშირდებოდა გამოქვეყნებულ სტატიას.

ტერმინები „დეინდექსირება“, „დელისტირება“ და „დერეფერენსირება“ ხშირად გამოიყენება ევროპის კავშირისა და საერთაშორისო სამართალის სხვადასხვა წყაროებში და აღნიშნავს ინფორმაციის გამოთავისუფლების ბრძანების გამცემი ოპერატორის მოქმედებას, რის შედეგადაც საძიებო სისტემის მონაცემთა ბაზის შედეგებში აღარ ხვდება გარეშე პირის მიერ ცალკეულ პიროვნებასთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაციებია. ტექნიკურად, დეინდექსირების განხორციელება თავად მესამე პირზე ინფორმაციის განმათავსებელსაც შეუძლია, შესაბამისად, დეინდექსირების განუხორციელებლობისთვის პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ინტერნეტ მონაცემთა ბაზის პროვაიდერები, აგრეთვე - ონლაინ გამოცემის ადმინისტრატორები და ჟურნალისტები, რომლებიც თავად განათავსებენ სტატიებს ინტერნეტში.

(ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება სავარაუდოდ არამართლზომიერი ჩარევის პროპორციულობაზე - გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის პატივის უფლებას შორის დაბალანსების მკაცრი კრიტერიუმის გამოყენების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრდა საქმით *Axel Springer AG v. Germany* [GC], ხსენებული კრიტერიუმის წინამდებარე საქმეზე გამოყენება შეუსაბამოა საქმეთა შორის ფაქტობრივ გარემოებებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. ხსენებული საქმის დეტალები შეეხებოდა განმცხადებელი კომპანიის მიერ სტატიის გამოქვეყნების უფლებას, რომელიც ცნობილი სატელევიზიო მსახიობის დაკავებასა და გასამართლებას იუწყებოდა, მაშინ, როცა წინამდებარე საქმის დეტალები შეეხება არასაჯარო პირების სისხლის სამართლის საქმეზე დაწერილი სტატიის ინტერნეტ სივრცეში არამართლზომიერად დიდი ხნით განთავსებას, როდესაც მონაცემთა ბაზაში დასმული ტეგების საშუალებით მარტივად შეიძლება სტატიის დაკავშირება კონკრეტულ პიროვნებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა წინამდებარე საქმის ორი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი: (1) დროის მონაცემთი, რომლის განმავლობაშიც ონლაინ სტატია ინტერნეტში იყო განთავსებული და ამასთან, არასაჯარო პირის რეპუტაციის დაცვის უფლება; (2) სადავო სტატიის შინაარსი და არასაჯარო პირის საზოგადოებრივი სტატუსი, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია მისი განხილვა საჯარო ან პოლიტიკურ ფიგურად. უდავოა, რომ ნებისმიერი



პირის შესახებ ინფორმაცია, მიეკუთვნება იგი საჯარო ფიგურას თუ არა, ექვემდებარება ინტერნეტის მონაცემთა ბაზის მეშვეობით დამუშავებას, რა დროსაც მისი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ინტერნეტში მის პერსონალურ მონაცემებზე უწყვეტი წვდომის გამო.

**ამგვარად, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღების დაუთმობს შემდეგ სამ კრიტერიუმს.**

(i) დროის მონაცემთი, რომლის განმავლობაშიც განმცხადებლის სტატია განთავსებული იყო ონლაინ, განსაკუთრებით იმ დანიშნულების გათვალისწინებით, რომლის გამოც მოსარჩელური შეგროვებული ინფორმაცია დაგენერირდა - მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დავის უზენაეს სასამართლოში განხილვის დროს სტატიაში მოხსენიებულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი ჯერაც არ იყო გამოტანილი, სადაც სტატია კვლავაც ადრინდელი ფორმით იყო განთავსებული და აღწერდა იმავე დეტალებს, რასაც მისი თავდაპირველი გამოქვეყნების დროს. ამასთან, მიუხედავად მოსარჩელეების მიერ წარდგენილი ოფიციალური მოთხოვნისა, რომ ხსენებული სტატია განმცხადებლის მიერ წაშლილიყო ინტერნეტში სივრციდან, იგი კვლავაც უცვლელად იყო განთავსებული ინტერნეტში და მარტივად ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის დაახლოებით რვა თვის განმავლობაში. ამ კუთხით, გამოსაყენებელი ეროვნული კანონმდებლობა, გააზრებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ჭრილში, აყალიბებდა შემდეგ მიღებოდა: განმცხადებლის ინფორმაციის გავრცელების უფლების რელევანტურობა მცირდება დროთა განმავლობაში, ვინაიდან უფრო რელევანტური ხდება მოსარჩელის მოთხოვნა - დაცული იყოს მისი რეპუტაცია.

(ii) სტატიაში არსებული ინფორმაციის სენსიტიურობა - სტატიის შინაარსობრივი მხარე უპირატესად შეეხებოდა მოსარჩელეების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის დეტალებს. მდგომარეობამ, რა პირობებშიც მოსარჩელისთვის სენსიტიური ინფორმაცია იქნა გამოქვეყნებული შექმნა იმგვარი ფაქტორი, რომელიც მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ინფორმაციის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის ბალანსის დაცვის საკითხის შეფასებისას.

(iii) საქანქციის დაკისრების აუცილებლობა - განმცხადებელი ეროვნული სასამართლოების მიერ პასუხისმგებაში მიეცა სამოქალაქო და არა სისხლის სამართლის წესით. სანქციის სახე და მოსარჩელისთვის არამატერიალური ზიანის მიყენების ანაზღაურების მიზნით დაკისრებული ჯარიმა (შეადგინა 5000 ევრო თითოეულისთვის), არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ მიიჩნევა გადაჭარბებული სიმკაცრისა და ოდენობის სანქციად.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რამეთუ მიჩნეული იქნა, რომ ინტერნეტში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც შემდგომში არ იქნა დეინდექსირებული და თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისთვის, დააფუძნა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებული საფუძველი. განსაკუთრებით აღსანიშნია ის გარემოება, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განმცხადებელს არ მოეთხოვა ინფორმაციის ანონიმურ ფორმატში გადაყვანა და/ან სტატიის საერთოდ ამოშლა ინტერნეტ რესურსებიდან.

**გადაწყვეტილება: დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).**